ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩისა და ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.13.01.017.015) მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო) განსათავსებლად ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით (კ-2=3.0) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გადახდის გრაფიკი.

თანხა 55080 ლარი გაწერილია 1 წელიწადზე

გადახდის დანიშნულება	თანხის განაწილება ერთ წელიწადზე			
	თვეები მშენებლობის ნებართვის გაცემის დღიდან			
მოსაკრებლის გადასახადი ლარი	3	6	9	12
	13770	13770	13770	13770

შენიშვნა: თანხის გადახდა მოხდება მშენებლობის ნებართვის გაცემიდან ყოველი მე-3 თვის ბოლოს.



შ.პ.ს. "იბერია"-ს დირექტორი: /დავით ლომიძე/

კ-2 კოეფიციენტის მოსაჯრებლის ანგარიშის განმარტებითი ბარათი

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩისა და ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.13.01.017.015).

საპროექტო ობიექტი განეკუთვნება მრავალფუნქციურ შენობას (საცხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო) ნაკვეთის ფართობია 810 მ^2.

ობიექტის დამკვეთია შპს "იბერია" (ს/კ 205018835),

დამპროექტებელი ი/მ რ. მახვილაძე (ს/კ 01020001893),

ობიექტი მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 3 (1ზ-3), სადაც კ-1=0.5: კ-2=1.5: კ-3=0.2.

თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობები: გადაწყვეტილება №83063 19.03.2012 და ქ. თბილისის მერის 22.03.2012 წ. №661 განკარგულება აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ.

ჩვენი თხოვნის შესაბამისად მოხდა ქალაქმშენებლობითი პარამეტრების, კერძოდ კ-2 კოეფიციენტის გაზრდა კ-2=3.0 და თბილისის არქიტექტურული სამსახურის მიერ გაიცა გადაწყვეტილება №91130 02.04.2012, აგრეთვე ქ. თბილისის მერის 27.03.2012 წლის №714 განკარგულება ობიექტის განთავსების მიზნით ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების შესახებ.

ზემოთაღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე და თბილისის საკრებულოს 27.03.2012 წლის №4-13 გადაწყვეტილების საფუძველზე საპროექტო შენობისათვის დამუშავებული არქიტექტურული პროექტიდან გამომდინარე კ-2=3.0

I სართულის კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი - 397.4+(3.9+3.9)/2=401.3 მ^2;

II სართულის კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი - 397.8+(3.2+3.8)/2=401.3 მ^2;

III სართულის კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი - 420.1+(2.6+3.1+3.2+3.8)/2=426.5 მ^2;

IV სართულის კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი - 401.5+(3.2+3.8)/2=405.0 მ^2;

V სართულის კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი - 401.0+(3.2+3.8)/2= 404.0 მ^2;

VI სართულის კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი - 378.9+(3.2+3.8)/2=382.4 მ^2;

შენობის კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო მთლიანი ფართი - 2421.0 მ^2.

შენობის კ-2 კოეფიციენტი გამოთვლილია ფორმულით:

კ-2=2421.0/810=3.0

ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.2007 წლის №7-41 გადაწყვეტილებით გამოთვლილია კ-2 კოეფიციენტის გადამეტებისთვის საჭირო თანხის რაოდენობა, რომელიც გადასახდელია ქ. თბილისის ბიუჯეტში.

$$X=[L(K_{21}-K_2)Sx0.8]/K_2=[85(3-1.5)810x0.8)]1.5=55080$$

სადაც: S=810 - ნაკვეთის ფართია, კვ. მ;

L=85 - 1 კვ.მ. მიწის ნორმატიული ფასი, ლარი;

K_{21}=3 - სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული კოეფიციენტი;

K_2=1.5 - დადგენილი კოეფიციენტი.

სულ გადასახდელი თანხა შეადგენს 55080 ლარს.

აღნიშნული თანხის გადახდის მიზნით შედგენილია გრაფიკი მშენებლობის ნებართვის გაცემიდან ყოველი მე-3 თვის ბოლოს გადახდით ერთი წლის პერიოდზე, რომლის ათვლაც დაიწყება მშენებლობის ნებართვის გაცემის დღიდან.

დანართი №1 - მოსაკრებელი თანხის გადახდის გრაფიკი 1 ფურცელზე.

არქიტექტორი: /გ. შელია/